**ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულება №57**

ქ. თბილისი 03 აპრილი 2012 წელი

1. ერთის მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ბაკურ მგელაძის სახით და, მეორეს მხრივ, ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის თამარ კიკვაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი – „აპი პრემიუმი“

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით - „აპი პრემიუმი“ 7000 (შვიდი ათასი) ლიტრი.

4. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით - საწვავის მოთხოვნის (აღნიშნული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ მიღების) დღისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის (1 ლიტრის) ფასს გამოკლებული დისქაუნთი შემდეგი ოდენობით - 3 (სამი) თეთრი.

5.1 შემსყიდველის მიერ საწვავის სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა საკითხის სამართლებრივი დარეგულირება (თუ წინამდებარე გამარტივებული ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული განსხვავებული დარეგულირება) განხორციელდება ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების“ შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ ის გაცნობილია და ეთანხმება ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების“ უკლებლივ ყველა პირობას.

5.2 საწვავის მიწოდება მოხდება სატალონო სისტემით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 25 აპრილამდე, ერთ ეტაპად.

5.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს შეძენილი საწვავის ღირებულება ელექტრონული ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ელექტრონულად დადასტურებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა საწვავის შეძენის ნაწილში განისაზღვრება 2012 წლის 25 აპრილამდე, ხოლო სხვა უფლება-მოვალეობების ნაწილში - მათ სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

შემსყიდველის ხელმოწერა ____________ მიმწოდებლის ხელმოწერა ____________

7. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ , რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის ტალონების მიღების და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის დმანისის მუნიციპალიეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი სპეციალისტი ლაშა ადუაშვილი, პირადი ნომერი 35001056024 (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება სადავო გახდეს შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურიდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
დმანისის მუნიციპალიტეტი, მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41, ს/ კოდი: 228928391, სს „ლიბერთი ბანკის“ დმანისის ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა: №GE75LB0120150345333000

------------------------------ /ზაკურ მგელაძე/

მიმწოდებელი:
ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ბ, ს/კოდი: 202161098, ს/ს ,,თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა №GE48TB1100000018467453

------------------------------ /თამარ კიკვაძე/